

ქართულ ქვევრს 3D ტექნოლოგიით დაამზადებენ



პროექტ qvevri.xyz – ის ავტორებმა იპოვნეს ტექნოლოგია, რომელიც ქვევრს 3D-ში აშენებს. მომავალში, პროექტის ავტორებს სურთ, საქართველოში 3D აპარატი ჩამოიტანონ და აქ დაიწყონ ქვევრების წარმოება. ავტორებმა 3D ტექნოლოგიით დაბეჭდილი პირველი ქვევრის პროტოტიპიც შექმნეს.

„ 8 000 წლიანი ტრადიციული კურტურა არ გვინდა რომ დაიკარგოს, ამიტომ ერთ-ერთი მსჯელობისას ვიფიქრეთ, რომ აუცილებლად იქნებოდა რაიმე ახალი გზა ქვევრის შენების და მივედით ამრამდე, რომ ხომ არ შევქმნათ პროტოტიპი 3D -ში. როგორც აღმოჩნდა რეაღურია, რადგან 3D -ში შექმნილი საბოლოო ქვევრის ვარიანტი, დადებითი მახასიათებლებით იდენტურია ტრადიციულ ქვევრთან. რაც ყველაზე მთავარია, 3D-ში შექმნილ ქვევრს მოხსნის აქვს ცუდი მახასიათებლები, რაც ტრადიციულს ახასიათებს, მაგალითად, ძველი ქვევრი 10 -დან 5 მაინც ტყდება. 3D-ში შექმნილი ყველა მყარია და ამის შანსი ნურამდგა დასური, რადგან გამოწვის პროცესი უზრუნველყოფილია ავტომატიზებული ღუმელით, პროცესის მაღალი სიზუსტითა და ტემპერატურის მკაცრი კონტროლით. ამიტომ ამ ტექნოლოგიით დაბეჭდილი ქვევრი უფრო მდგრადია.

ჩვენი მთავარი მიზანია ქვევრი იყოს ისეთივე მარტივი საყიდელი, როგორც ნებისმიერი სხვა პროდუქტი, რადგან კარგი ქვევრი გახდა დეფიციტური და ძნელად ხერმისაწვდომი, რის გამოც, ქვევრის შექმნის მსურველებს თვეობით უწევთ რიგში დგომა და დოდინი. გვინდა, რომ ეს ტრადიცია არ დავკარგოთ და ამით ქვევრის გადარჩენის ახალი გზა მოვნახეთ“ – აცხადებს BM.GE -სთან პროექტ

QVEVRI.XYZ-ის ერთ-ერთი ავტორი, ნიკა გუჭეჭიანი.

3D -ში ქვევრზე მუშაობა ამ ეტაპზეც მიმდინარეობს და პირველი პროტოტიპიც შექმნილია. ავტორებმა ჯერ არ იციან ახალი ტექნოლოგიით შექმნილ ქვევრს გაყიდვაში როდის ჩაუშვებენ.

bm.ge